## ჩვენი გულითადი მიმართვა ქარმოველ ბიზნესმენებს, ყველამოქალაქე ადამიანებს, დიდ მამულიშვილთა მიერ დაწყებულ და მომავლის საქართველოსთვის ჰაერივით საჭირო ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საქმესთან დაკავშირებით

მეგობრებო, თქვენი სახელი ბევრ კეთილ საქმესთანაა დაკავშირებული. თქვენს ერთობას სასწაულის მოხდენა შეუძლია. ჩვენ ვიზიარებთ „მეცნიერთა კონგრესის“ მოსაზრებას, რომ ბიზნესმენები უნდა აფინანსებდნენ არა პარტიებს, არამედ დემოკრატიას. მხოლოდ დემოკრატიულ გარემოში ვითარდება ქვეყანა, ოჯახი, ადამიანი, ბიზნესი; ასე შეიქმნება მომავლის საქართველო.

სწორედ ამ განწყობით მოგმართავთ. ეს ჩვენი პირველი წერილია და მას ვაქვეყნებთ სწორედ მავე გზეთში, რომელიც „ეროვნული დოქტრინის“ პროექტია გამოქვეყნებული. ვაქვეყნებთ 8 თებერვალს, დავითობას, როცა გელათის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ კედლებში „ეროვნული დოქტრინის“ განხილვის დიდი ქართული პროცესი იწყება. ტელევიზია „ქართული TV“ სწორედ ასეთი დიდი ქართული პროცესების საინფორმაციო მხარდამჭერია. დიდი სურვილი გვაქვს, თქვენი მხარდაჭერით გავაძლიეროთ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განწყობის მართალი ტელევიზიის შექმნის პროცესი.

დღემდე სულგრძელი და კეთილი ადამიანების მხარდაჭერით მოვედით. ჩვენ, ძირითადად მეცნიერებმა, კულტურის მოღვაწეებმა, რეგიონთა ადამიანებმა ერთად შევძელით, რომ ეს ტელევიზია დიდი ნავსაყუდელი გამხდარიყო ქართული კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების, ემიგრანტების, ახალგაზრდობის და ზოგადად, ქართულად მომართული ადამიანებისთვის. თვით ის ფაქტი, რომ მეცნიერებათა ეროვნული და დარგობრივი აკადემიები არათუ თანამშრომლობენ, არამედ მათ თავისად მიაჩნიათ „ქართული TV“, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

ტელევიზია, რომელიც სატელიტური თანამგზავრის საშუალებით მთელ მსოფლიოზე მაუწყებლობს, მიუახლოვდა განვითარების ახალ ეტაპს და გეგმავს, წლის დასაწყისიდანვე, განსაკუთრებით გაზაფხულიდან, საზოგადოების წინაშე წარსდგეს მასშტაბური პროგრამით, რის გამოც, დღის წესრიგში დადგა როგორც ფინანსური გაძლიერება, ასევე, შესაძლებლობის ფარგლებში, ტექნიკური აღჭურვილობის განახლება.

მიუხედავად დიდი სირთულეებისა, მაინც არ ვღალატობთ იმ პრინციპებს, რის საფუძველზეც ეს ტელევიზია შექმნეს დიდმა მამულიშვილებმა: მერაბ ბერძენიშვილმა, რეზო ჩხეიძემ, ანზორ ერქომაიშვილმა, გიგა ბათიაშვილმა, გივი თოიძემ, არნოლდ გეგეჭკორმა, ომარ მხეიძემ, ტარიელ ხარხელაურმა, თემურ გუგუშვილმა, რომან რურუამ - ტელეკომპანიის აქციების 4 პროცენტზე მეტს ვერავინ შეიძენს, რა თანხის მფლობელიც არ უნდა იყოს, 94 პროცენტის მფლობელი „ქართული ერთობის დარბაზია“.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ საეტაპო მომენტში ჩვენს გვერდით იქნებით და ჩვენ, ყველანი ერთად, შევძლებთ წარმატებით იაროს ამ ეროვნულმა, ჭეშმარიტად სახალხო ტელევიზიამ.

პატივისცემით,

ჯუმბერ კოპალიანი
მეცნიერების დოქტორი, დმანისის არქეოლოგიური მუზეუმის ხელმძღვანელი, „ქართული ერთობის დარბაზის“ თავმჯდომარე

მანანა იმედაძე
კომპოზიტორი, ტელეკომპანია „ქართული TV“ გენერალური დირექტორი

P.S. ტელევიზია „ქართული TV“ იზიარებს მეცნიერთა კონგრესის პოზიციას. რომ:

- ყველა მოქალაქეს ჰქონდეს საშუალება მოსაზრება გამოთქვავას ტელევიზიით.
- ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირებს (პრემიერ მინისტრს, პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, სასამართლოს თავმჯდომარეს, მინისტრებს, პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეებს, თბილისის მერს და გუბერნატორებს) ჰქონდეთ თავისუფალი დრო, სურვილის შემთხვევაში კვარტალში ერთხელ პირდაპირ ეთერში უპასუხონ მოქალაქეების შეკითხვებს.
- თვის განმავლობაში (გარკვეული დრო 30-60 წუთი) ჰქონდეთ:
  — პარტიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს;
  — ქალაქს, რაიონს, მხარეს, დიდ სოფლებს;
  — უნივერსიტეტებს, ინსტიტუტებს, შემოქმედებით კავშირებს;
  — ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, პროფკავშირებს, დიასპორას;
  — ადვოკატთა საზოგადოებას, საბანკო სექტორს;
  — ქართულ ტრადიციულ ბიზნესის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით მათ, ვინც ანარმოებს ეკოლოგიურად სუფთა ნატურალურ პროდუქციას;

„ქართული TV“ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ამოცანებს ემსახურება
ეროვნული ტელევიზიის
ეროვნული ფინანსური
ბანკი
ეროვნული ბანკი
ეროვნული ბანკი
ეროვნული

# “აუცილებელია შეიქმნას საქართველოს ღვაწლმოსილ პიროვნებათა სათაბირო”

## წერილი პატრიარქს

თქვენო უწმიდესობავ,

თქვენ ყველაზე უკეთ მოგეხსენებათ, რა მძიმე ჟამი უდგას საქართველოს, რომელიც მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების გამო ისეთ განსაცდელთა წინაშე დგას, რისი მსგავსიც იშვიათად დადგომია თავისი ხანგრძლივი და მძიმე ისტორიის მანძილზე.

ჩვენ, როგორც მცირერიცხოვან და ტერიტორიულად პატარა, მაგრამ დიდი სულიერი ძალის მქონე ქვეყანას, გვმართებს, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ ღირსეული გზები მოვნახოთ ყოველი განსაცდელის თავიდან ასაცილებლად.

ამ თვალსაზრისით, „ქართული ერთობის დარბაზისთვის“ უმნიშვნელოვანესია თქვენს ეპისტოლეებსა და ქადაგებებში ჩამოყალიბებული მოსაზრებები ქვეყნის განვითარების პროგრამებში გადატანა. ჩვენ დიდი ხანია ვახოროციელებთ **2011** წლის თქვენს ქადაგებაში ჩამოყალიბებულ მოსაზრებას, რომ აუცილებელია შეიქმნას საქართველოს ღვაწლმოსილ პიროვნებათა სათათბირო. მსგავსი რამ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია და რაოდენ მრავლისმთქმელია, რომ ჯერ კიდევ მეფე ვახტანგ გორგასლმა შექმნა „ჭკვიან კაცთა კოიმისა“ . ჩვენ სწორედ ყველაფერი ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ თქვენი ლოცვა-კურთხევით, საზოგადოების, მთავრობის, მეცნიერებათა აკადემიის, პოლიტიკურ ძალთა მხარდაჭერითა და მონაწილეობით (ილია ჭავჭავაძის ტერმინი რომ გამოვიყენოთო), შეიქმნას “სახელმწიფო კაცების საკრებული”, რომელიც, როგორც თქვენ აღნიშნავთ თქვენს ქადაგებაში, რეგულარულად განიხილავს საქართველოს წინაშე მდგარ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემებს და თავის მოსაზრებებს წარუდგენს საქართველოს მოსახლეობას და ხელისუფლებას.

ჩვენ სრულად ვიზიარებთ თქვენს მოსაზრებას, რომ დარბაზი უნდა დაკომპლექტდეს ეროვნული ცნობიერებისა და საყოველთაო ავტორიტეტისა მქონე პიროვნებათაგან, რომელთაც ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი არ ამოძრავებთ.

“სახელმწიფო კაცების საკრებულოს” წევრთა შემადგენლობა უნდა შეირჩეს წარმოდგენილ კანდიდატთა საერთო-სახალხო განხილვის საფუძველზე და, როგორც თქვენ აღნიშნავთ ქადაგებაში, წარედგინოს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს ,მთავრობის თავმჯდომარეს, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას.

თქვენო უწმინდესობავ! „ქართული ერთობის დარბაზი“ თქვენი ამ იდეის განხორციელებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, რამეთუ ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ „ქართული ერთობის დარბაზი“ შეიქმნა თქვენი ლოცვა-კურთხევით და მის სათავეებთან იდგნენ დიდი მამულიშვილები: მერაბ ბერძენიშვილი, რეზო ჩხეიძე, ანზორ ერქომაიშვილი, არნოლდ გეგეჭკორი, გივი თოიძე, ომარ მხეიძე, გიგა ბათიაშვილი, ტარიელ ხარხელაური, რომან რურუა, თემურ გუგუშვილი. მათ შეუერთდნენ ცნობილი მეცნიერები, საზოგადოების წარმომადგენლები. სწორედ თქვენი ლოცვა-კურთხევითა და ამ ადამიანების საერთო ძალისხმევით სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში შეიქმნა და გელათის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ კომპლექსში, დავითობას, **8** თებერვალს, უკანასკნელი **5** წლის განმავლობაში დამტკიცდა ქვეყნის განვითარების პროგრამა: „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“, „ახალი განზომილება – რა შევცვალოთო, რომ გადავრჩეთ?“ , **21-** პუნქტიანი განვითარების პროგრამა „მთავარია სამშობლო და ადამიანი“ ამჟამად მზად არის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დოქტრინა, რომლის მიღებას ვგეგმავთ ა.წ. **8** თებერვალს, დავითობას, გელათის ტრადიციულ კონგრესზე.

ამ პროგრამების შემდგომ დახვეწნი , ხელისუფლებაში წარდგენისა და მათი შესრულების ორგანიზებაში ხალხის, საზოგადოების მონაწილეობის თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა ექნება „სახელმწიფო კაცების საკრებულოს“ როგორც შექმნის პროცესს, ასევე მის შემდგომ საქმიანობას.

ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ საპატრიარქოსთან თქვენს ამ წინადადებასთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ აღდგომის ბრწყინვალე დღეებისთვის დასრულდეს **50-60** წევრიანი საკრებულოს ფორმირება.

თქვენო უწმიდესობავ,

იმის გათვალისწინებით, რომ ამ უაღრესად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და პირდაპირ ვიტყვი, ადამიანური წინადადების ავტორი თქვენ ბრძანდებით, თავს უფლებას ვაძლევ, გთხოვთ, რომ „სახელმწიფო კაცების საკრებულოს“, ანუ დიდ მამულიშვილთა პირველი შეკრება შედგეს თქვენი ლოცვა-კურთხევით საპატრიარქოში.

„ქართული ერთობის დარბაზის“ თავმჯდომარე,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**ჯუმბერ კოპაძლიანი**

**ბარეკაანგე, შალვა ბერაძის ჭედური ხატი, შექმნილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ს კურთხევით, ფონდ „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ ორგანიზებით, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა შემოწირულობებით, რომელიც 2020 წლის 8 თებერვალს, „დავითობას“, ქართველი ხალხის, უსსოფლოში მცხოვრები თანამემამულეების და საქართველოს მეგობრების სახელით გადაეცა გელათის მონასტერს.**



## ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს ( ი. ჭ.)

# ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დოქტრინა (პროექტი)

*ჩვენ ვალიარებთ,* რომ გლობალიზაცია არის კაცობრიობის განვითარების ობიექტური კანონზომიერება და ის უნდა იქნას მიღებული, როგორც რეალობა. ჩვენი მიზანია ამ რეალობაში ქვეყნის შესაძლებლობათა სრული კონცენტრაცია ეროვნული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება-განვითარებისთვის.

*ჩვენ ვაღიარებთ,* ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენიდან გასულმა **33** წელმა, ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზთა გამო, სრულად ვერ მოგვცა ის შედეგი, რომელიც ჩვენთვის, ყველასთვის სასურველი იქნებოდა, ჩვენი ისტორიისა და მომავლის გათვალისწინებით. საქართველო კატასტროფულად აგვიანებს, გახდეს სტაბილური სახელმწიფო. გარე მიმართებაში - ჩვენ გამუდმებით ან საომარ მდგომარეობაში, ან წინასაომარ მდგომარეობაში ვართ. შიდა მიმართებაში - გამუდმებულ პოლიტიკურ დაპირისპირებაში, რომელიც უკვე მთელ საზოგადოებას მოედო და პერმანენტული ხასიათი მიიღო, ხელისუფლების განდევნისათვის ბრძოლამ, რისი პრეცედენტიც დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ ეტაპზე შეექმენით. შედეგად, ერთი მხრივ, ერი, რომელსაც ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში ერთადერთი სუზერენია, ვერაფრით ვერ გახდა ქვეყნის პატრონი, მეორე მხრივ, საზოგადოებამ ვერ შეიძინა სამოქალაქო ღირსებისა და სამოქალაქო პროტესტის გრძნობა.

*ჩვენ არ მოგვწონს* გზა, რომლითაც ქვეყანა მიდის უკანასკნელი **33** წლის განმავლობაში. საჭიროა სისტემური გარდაქმნები, რადგანაც უკვე დაგროვდა მომაკვდინებელ საფრთხეთა მთელი კომპლექსი, რომელშიც არამხოლოდ ტერტორიული მთლიანობის დაკარგვა შედის.

*ჩვენ მიგვაჩნია,* რომ უნდა დამთავრდეს ანონიმური და ერთპიროვნული გადაწყვეტილებების დრო და დაიწყოს სოლიდარული მოძრაობა ქვეყნის გადარჩენისთვის. დასაბამი უნდა მიეცეს მეცნიერული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური აზროვნების შერწყმას. უნდა დავნერგოთ პრინციპი: ქვეყანას მართავს ხელისუფლება - ხელისუფლებას მართავს საზოგადოება, ხოლო საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა.

*ჩვენ, ყველანი ვთანხმდებით,* რომ ქვეყანა, რომელიც ქრისტეშობამდე და მის შემდგომ, აღიარებდა ოჯახის, საკუთრებისა და სახელმწიფოს პრიორიტეტს, ქვეყანა, რომელიც ბიბლიური ფასეულობებით ცხოვრობდა, არ შეიძლება **21**-ე საუკუნეში უარყოფდეს საკუთარ ფასეულობებს და აფეტიშებდეს სხვისას.

*ჩვენ ვთანხმდებით იმაზეც,* რომ ქვეყნის მომავალს განსაზღვრავს ის, თუ როგორია ქვეყანაში დამოკიდებულება ნიჭისა და ინტელექტისადმი. ქვეყნის მართვის სისტემა სრულად უნდა იყოს ორიენტირებული ადამიანის შესაძლებლობათა რეალიზაციაზე და მიზნად უნდა იქნას მიჩნეული საქართველო, როგორც ინოვაციური ტექნოლოგიების ქვეყანა.

*ჩვენ ვთანხმდებით იმაზეც,* რომ წარსულის შეცდომების გათვალისწინებით და მომავლის ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველო უნდა იყოს არა სხვა სახელმწიფოთა ინტერესების დაპირისპირება-დაჯახების, არამედ ქვეყნის ინტერესზე სხვა ქვეყნების ინტერესთა ზედდების სახელმწიფო.

*ჩვენს მიერ წარმოდგენილი „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დოქტრინა“ არის სწორედ ქართული ინტერესის გამომხატველი სისტემური ცვლილებების დოკუმენტი, რაც დასტურდება აქ ჩამოყალიბებულ კონკრეტულ პუნქტებში.*

**1.** საქართველოს წარსულის, დღევანდელობის გათვალისწინებით და მომავლის ინტერესებიდან გამომდინარე, ხელშეუხებელია ოჯახის, საკუთრების და სახელმწიფოს პრიორიტეტი, ადამიანის ფუნდამენტური უფლებები.

**2.** მიწა, წყალი, ტყე, წიაღისეული და ყველაფერი, რაც ეროვნული სიმდიდრეა და ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელია, უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე არ იყიდება;

**3.** ქვეყანაში განათლება ერსინტეტიკურად არის აღიარებული, როგორც პრიორიტეტი, და განათლების სფეროს ყოველი წარმომადგენელი უნდა მოექცეს საერთო-სახალხო ზრუნვის ქვეშ; (გვთავაზობენ, რომ საშუალო განათლება გახდეს აუცილებელი).

**4.** საქართველო, ეროვნული უსაფრთხოების პრინციპებიდან გამომდინარე, იღებს ქვეყნის საგარეო, თავდაცვით, დემოგრაფიულ, სასურსათო და ენერგეტიკულ, უსაფრთხოებათა დოქტრინებს;

**5.** ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობისა და უსაფრთხოების პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველო იღებს ვალდებულებას, რომ მისი ტერიტორიიდან სხვა ქვეყნის მიმართ ომი არ დაიწყება და არც სხვას მისცემს უფლებას, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორია გამოყენებული იქნას სხვა ქვეყანის წინააღმდეგ;

**6.** საქართველო თანამშრომლობის, მეგობრობის ხელშეკრულებებს აფორმებს მხოლოდ იმ ქვეყნებთან, რომლებიც აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, პატივს სცემენ ჩვენს ტრადიციებს, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას;

**7.** ყოველი ქართველი და აფხაზი, დაბადებული მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, დაბადებისთანავე ითვლება საქართველოს მოქალაქედ;

**8.** საქართველო იცავს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები საქართველოს მოქალაქის ინტერესებს;

**9.** საქართველოში კორუფცია (შესაძლებელია - ნეპოტიზმიც), სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა ითვლება სახელმწიფო ღალატად; (რისთვისაც, ქართულ კანონმდებლობაში აღდგენილი უნდა იქნას სამშობლოს ღალატის, როგორც დანაშაულის შესახებ სპეციალური მუხლი).

**10.** საქართველოსთვის დაუშვებელია ქვეყნის გარედან დაფინანსებული პარტიების, საინფორმაციო საშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობა; სახელმწიფო უნდა გახდეს მათი საქმიანობის ხელშეწყობის გარანტი. საქართველოს ბიუჯეტის **1%**, სწორედ ამ მიზნით უნდა იქნას გამოყოფილი. მისი განაწილების წესი უნდა დაარეგულიროს სპეციალურმა კანონმა.

**11.** კონსტატუციურად, საქართველოს ხელისუფლება არის მხოლოდ ის ხელისუფლება, რომელიც იცავს ადამიანისთვის ბუნებით მინიჭებულ უფლებებს: სიცოცხლის უფლებას, სიტყვის უფლებას, საკუთრების უფლებას და ბედნიერი ცხოვრებისადმი მისწრაფების უფლებას. ხელისუფლება უნდა იყოს იმის გარანტი, რომ სიცოცხლის უფლებიდან გამომდინარე, შეუქცევადად უზრუნველყოს თითოეული ადამიანის საცხოვრისი, საარსებო მინიმუმი, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების მიღების თანაბარი უფლებები;

**12.** კონსტატუციურად უნდა იქნას განმტკიცებული, რომ ქვეყნის ბატონ-პატრონი არის ხალხი, ხოლო ხელისუფლება - მისი მსახური. ამ პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტატუციის მიღება უნდა ხდებოდეს მხოლოდ რეფერენდუმის გზით; დოქტრინაც და ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების მიღება არ უნდა იყოს პარტიების პრეროგატივა და უნდა წყდებოდეს რეფერენდუმით; ხალხს რეფერენდუმის მეშვეობით უნდა შეეძლოს როგორც ვადამდელი არჩევნების ჩატარება, მიღებული კანონების გაუქმება ან მათში შესწორება, ასევე შესაძლებლად უნდა ჩაითვალოს, სახელმწიფო ინტერესების გადახვევიდან გამომდინარე, ნებისმიერი პოლიტიკური ძალის გამოწვევა პარლამენტიდან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა მიღებულ იქნას ახალი კანონი რეფერენდუმის შესახებ (გარკვეულ ჯგუფს მიაჩნია, რომ კანონი რეფერენდუმის შესახებ უნდა იქნას მიღებული საერთო-სახალხო რეფერენდუმის მეშვეობით).







## უახლოესი ერთი წლის ძირითადი ღონისძიებები

დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე ერთობის ამოცანა დგას ისე, როგორც არასდროს. მხოლოდ ერთობით შევძლებთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, საქართველოს დაკავშირებას მის ისტორიულ ფესვთან - ევროპასთან, ეკონომიკის გაძლიერებას, მძლავრი ნაბიჯების გადადგმას, რომ მდიდარ ქვეყანაში არ ვცხოვრობდეთ ღარიბად, რომ ქართველი ხალხი, საქართველოს მოსახლეობა იმსახურებს ბედნიერებით სავსე ცხოვრებას... ეს რეალური, მთავარია გავაცნობიეროთ, რომ საქართველოს მომავალი დაკავშირებული ხალხის, ეკლესიისა და ხელისუფლების თანამშრომლობის ჰარმონიზაციისთან. ეს შესაძლებელია ბიბლიურ პრინციპზე დაყრდნობით: მთავარში ერთობა, სადაოში - თავისუფლება, მაგრამ ყველაფერში სიყვარული.

ჩვენი პროგრამა არის ერთობის პროგრამა, საქართველოში სიკეთით გამარჯვების პროგრამა, პროგრამა ძლიერი და სამართლიანი სახელმწიფოსთვის.

- გელათის კონგრესი - **8** თებერვალი, დავითობა, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ შენობაში, ეროვნულ - სახელმწიფოებრივი დოქტრინის მიღება;
- „სახელმწიფო კაცების საკრებულოს“ შექმნის ღია საზოგადოებრივი და სატელევიზიო პროექტი - იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი;
- „სახელმწიფო კაცების საკრებულოს“ პირველი სხდომა საპატრიარქოში - მაისი
- „პიროვნებათა პარლამენტის“ საარჩევნო გუნდის ფორმირების ღია საზოგადოებრივი და სატელევიზიო პროექტი, „მეცნიერთა კონგრესის“ მიერ გელათში მიღებული პრინციპების გათვალისწინებით - იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი;
- „პიროვნებათა პარლამენტის“ საარჩევნო გუნდის ნარდგენა საზოგადოებრივისთვის - **26** მაისი, **20024** საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;
- „ალტერნატიული საზოგადოებრივი პარლამენტის“ შექმნის ღია საზოგადოებრივი და სატელევიზიო პროცესი - იანვარი, თებერვალი;
- „ალტერნატიული საზოგადოებრივი პარლამენტის“ პირველი სხდომა - მარტი;
- საქართველოში ემიგრანტთა ოჯახების და უცხოოთში ემიგრანტთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ლიგის შექმნის ღია სატელევიზიო პროცესი - იანვარი, თებერვალი, მარტი;
- საქართველოში - ემიგრანტთა ოჯახებისა და უცხოოთში - ემიგრანტთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ლიგის პირველი სხდომა - მარტი;
- საქართველოში ემიგრანტთა ოჯახების და უცხოოთში ემიგრანტთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ლიგის ნევრების შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციების სტრუქტურებში (გაერო, ევროპული სტრუქტურები) - აპრილი, მაისი;
- სატელევიზიო თოქშოუ პირობითი სახელწოდებით: „ქომაგალის საქართველო“ - საქვეყნო პრობლემების განხილვით, ცნობილ მეცნიერთა მონაწილეობით - **1** მარტიდან;
- „ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა“ მსოფლიო კონგრესის სესიები მსოფლიოს ყველა იმ ქალაქში, სადაც **1000**-ზე მეტი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს. - **2024** წლის გაზაფხლობაში;
- „ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა“ მსოფლიო კონგრესი - **21** სექტემბერი, ლვთისმშობლობა;
- გაერთიანებული ძალებით ორგანიზებული კონგრესები უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვით და პირდაპირი სატელევიზიო გადაცემით - წლის განმავლობაში, ყოველთვიურად;
- „მეცნიერთა კონგრესის“ მიერ შემუშავებული ქვეყანაში ისტორიული ცვლილებებისა და ქვეყნის განვითარების პროგრამების საჯარო განხილვები მოსახლეობის მონაწილეობით და პირდაპირი სატელევიზიო ნარდგენით;
- **30000** კაცისან ხელმოწერის შეგროვება და პარლამენტში წარდგენა ქვეყნის განვითარების პროგრამის: „მიზანია სამშობლო და ადამიანი, სხვა ყველაფერი, ხელისუფლების ჩათვლით, საშუალება ამ მიზნის მისაღწევად“ პარლამენტის კომიტეტებსა და პლენარულ სხდომაზე განხილვის მოთხოვნით - იანვარი, თებერვალი, მარტი;
- **30000** კაცისან ხელმოწერის შეგროვება და პარლამენტში წარდგენა კორუფციისა და ნეპოტიზმის სახელმწიფო ღალატად გამოცხადების, ლუსტრაციის კანონის მიღების მოთხოვნით - იანვარი, თებერვალი, მარტი;

**ღონისძიებები საგანგებო წესით:**

- „ქართული ერთობის დარბაზის“ დებულებისა და შემადგენლობის განახლება, პროგრამის ჩამოყალიბება სხდომა პირდაპირ ეთერში პროგრამის განხილვის მიზნით - იანვარი-თებერვალი;
- „მეცნიერთა კონგრესის“ შემადგენლობის გაფართოება, განახლებული დებულების მიღება, რეგისტრაცია საჯარო რეესტრში იურიდიულ პირად; არეალის გაფართოების პრინციპი: თითო წარმომადგენელი მეცნიერებათა ეროვნული, სოფლის მეურნეობის, საინჟინრო და ყველა დარგობრივი აკადემიიდან, უმაღლესი სასწავლებლებიდან - თებერვალი-მარტი;
- ფონდ „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ დებულების განახლება, შემადგენლობის რეორგანიზაცია, სამუშაო პროგრამების დამტკიცება - თებერვალი მარტი;
- „ყოველთა ქართველთა საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა“ კონგრესის სამუშაო პროგრამის დაზუსტება და განხილვა პირდაპირი სატელევიზიო გადაცემით, იურიდიულ პირად რამოყალიბება - **იანვარი-მარტი;**
- „ინოვაციური ცენტრის“ სამუშაო პროგრამის დაზუსტება და განხილვა პირდაპირი სატელევიზიო გადაცემით და იურიდიულ პირად რამოყალიბება - თებერვალი-მარტი;
- ტელევიზია „ქართული TV“-ს მეგობართა დიდი საზოგადოებრივი გუნდის ფორმირება, ყოველთვიური შეხვედრების ორგანიზება, ტელევიზია „ქართული TV“ -სადმი ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით - წლის განმავლობაში.